სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/38

ქ. თბილისი

13 ოქტომბერი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-04/188 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გივი გავარდაშვილის თხოვნა, ინსტიტუტის კუთვნილი, სამგორის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის (მის.: გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება) ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდისა და ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით 1705 (ათას შვიდას ხუთი) ლარის გამოყოფის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**